მიუსაფარი ცხოველების მართვის სტრატეგიის შემუშავების ძირითადი ჩარჩო დოკუმენტი

გურიის სამოქალაქო ცენტრი

ოზურგეთი

2023

შინაარსი

შესავალი 2

2 საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა 3

2.1 სისხლის სამართლის კოდექსი 3

2.2 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 3

2.3 სამოქალაქო კოდექსი 4

2.4 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 4

2.5 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 4

2.6 საკანონმდებლო ინიციატივა 5

2.7 მუნიციპალიტეტის ხარჯები და შემოსავლები 8

3 სიტუაციის ანალიზი 8

4 მიზნები და ამოცანები 10

4.1 მიზანი 10

4.2 სტრატეგიის ამოცანები კომპონენტები 10

5 მუნიციპალური რეგულაციების შემოღება და ადმინისტრირება 11

5.1 ადმინისტრირება პოპულაციის მართვის ცენტრის ექსპლუატაციაში შესვლამდე 12

6.1 რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია 13

6.2 გამრავლების უნარის შეწყვეტა 14

6.3 პოპულაციის მართვის ცენტრი 14

6.4 მობილური კლინიკა 15

6.5 გაჩუქება 15

6.6 ევთანაზია 16

7 ბიუჯეტი 16

შესავალი

მიუსაფარი ძაღლები წარმოადგენენ კომპლექსურ გამოწვევას ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხოველები სოციალური და ადამიანის მოსიყვარულე კომპანიონებია, მათ ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნან ადამიანებს და გარემოს.

მიუსაფარი ძაღლების სიმრავლე საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანების, ასევე კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობას და უსაფრთხოებას, გარდა ამისა, არახელსაყრელ პირობებს ქმნის და აფერხებს ტურიზმის, სოფლის მეურნეობის (ხელს უშლის ფერმერებს/გლეხებს შინაური ფრინველის მოშენებაში), ველოტრანსპორტის და მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული სხვა დარგების განვითარებისთვის.

მიუსაფარი ძაღლების არსებობა რთული საკითხია, რომელზეც გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძაღლების პოპულაციის ზომის ზუსტი შეფასება არ არსებობს, სავარაუდოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5000-მდე მიუსაფარი ძაღლია.

ამ მიუსაფარი ცხოველების პრობლემის სიმწვავე არაერთი კვლევით დადასტურდა ადგილობრივ[1] და ეროვნულ[2] დონეზე. მოქალაქეები სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ცდილობენ საკითხის ადგილობრივ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებას[3][4].

როგორც ადამიანების, ასევე ცხოველების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებებისთვის აუცილებელია მიუსაფარი ძაღლებისთვის მართვის ეფექტური სტრატეგიის არსებობა. სტრატეგია შემუშავებულია არსებულ სამართლებრივ ჩარჩოში და მოიცავს: ძაღლების პოპულაციის კონტროლის ცივილიზებულ ზომებს, ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტების აღსრულებას და ვეტერინარულ დახმარებას. სტრატეგიის განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტი დანერგავს მიუსაფარი ძაღლებისადმი ცივილიზებული მოპყრობის ფორმებს, ამასთან ერთად

---

[1] http://civicguria.ge/2022/06/30/%e1%83%9d%e1%83%96%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%92%e1%83%94%e1%83%97%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a9%e1%83%ae%e1%83%a3%e1%83%97%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90/?fbclid=IwAR1broVhgP5dR_mozS2nQ_3jJkpnoLDjdW9HJUj4dkPp11JAyosyqOxlhRI

[2] https://droa.ge/?p=129569&fbclid=IwAR2rl4bDIdBDxcjtR_1u7cmf2yboEkPzgKKmXuBGPRznSVl42yuhR5ee6Pw

[3] http://petition.lsg.ge/ozurgeti/petitions/view/34?fbclid=IwAR2XbCWz9IKo6pf87AWeIx3Uk2MVpobq78RePC0-MyX9oNDGAGMuwtZjA90

[4] https://www.youtube.com/watch?v=c0fhd-0djH8

შეინარჩუნებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და შეამცირებს მიუსაფარი ძაღლების უარყოფით გავლენას გარემოზე.

2 საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა

საქართველოში ამჟამად არ არსებობს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, არ არსებობს ზოგადი პრინციპები და სტანდარტები, რომელიც აღნიშნულ საკითხებს დაარეგულირებს (ამჟამად რეგულირდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის წესებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო) აუცილებელია კანონის მიღება, რომელიც დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვებ სტანდარტებს, პატრონთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ასევე, დარეგულირდება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობები.

2.1 სისხლის სამართლის კოდექსი

ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობა სისხლის სამართლის კოდექსის (259-ე მუხლი) მიხედვით ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, ითვალისწინებს სასჯელის ფორმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოცდან ორას ორმოც საათამდე, შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ჯარიმას, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

2.2 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (103-ე, 104-ე და 172-ე მუხლები) ადგენს პასუხისმგებლობას ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევის გამო და გამოიწვევს მოქალაქის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების მეხუთედ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თანამდებობის პირის დაჯარიმებას – შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

ძაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე ყოლა თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში, გამოიწვევს მფლობელის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის გამო, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია, როგორც

ერთჯერადად, ისე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით. აღნიშნული პასუხისმგებლობა ასევე ცალკეა განსაზღვრული როგორც მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის ზომა, რომელმაც აღნიშნული ქმედებით არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობები არ შეასრულა, რაც გამოიხატა არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების, სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობით.

ცხოველთა მეპატრონის ვალდებულებების შესახებ ჩანაწერები არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და ნარჩენების მართვის კოდექსშიც. გარდა ამისა, არსებობს ადგილობრივ დონეზე ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული დადგენილებებიც, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ერთიანი საკანონმდებლო ბაზა და რომელთა აღსრულებაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

2.3 სამოქალაქო კოდექსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება მაშინ, როცა მეპატრონემ მესამე პირთა დასაცავად აუცილებელ ზომებს მიმართა.

2.4 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და მიუსაფარი ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

2.5 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის N28 დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილების თანახმად აკრძალულია შინაური ცხოველის (ძაღლის/კატის) იზოლირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაშვება და დატოვება (მუხლი 3, პუნქტი „ბ“).

სამართალდარღვევის დაფიქსირება შეუძლია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უფლებამოსილ ფიზიკური ან/და იურიდიული პირს. (მუხლი 6). ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავ და შესაბამის ოქმს ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილება (მუხლი 7)

2.6 საკანონმდებლო ინიციატივა

2019 წლიდან, საქართველოს პარლამენტში, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ საკანონმდებლო წინადადებათა ინიციირება არაერთხელ მომხდარა. ყველაზე მასშტაბურად აღნიშნული საკითხი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის ინიციირებით დადგა, კანონპროექტის განხილვის მიზნით, პირველი სამუშაო შეხვედრა 2022 წლის მარტში გაიმართა, ხოლო 2022 წლის 25 ოქტომბერს კომიტეტმა დაინტერესებულ მხარეებს კანონის პროექტის სამუშაო ვერსიის მიზნები და ძირითადი პრინციპები გააცნო. იმავე პერიოდში პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა პროექტს, რომელიც პატრონის მიერ ძაღლის ან კატის მიტოვებისთვის ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებდა. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტის თანახმად, რეგისტრირებული ძაღლის ან კატის მიტოვება პატრონის მიერ – გამოიწვევს მეპატრონე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში – 1,000 ლარით, იურიდიული ან ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – 1,500 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით შემთხვევაში – 3,000 ლარით.

საქართველოს კანონის პროექტი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავების მიზეზი გახდა შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუციებისა და სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობისათვის აუცილებელი უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნას. ხოლო კანონპროექტის მიზანია ადამიანისა და ცხოველის თანაცხოვრების პირობებში მოხდეს, ერთი მხრივ ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით.

კანონპროექტი არეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს და აწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს. ასევე განსაზღვრავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები, მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი მოთხოვნები, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში თანაბარი არსებობის შესაძლებლობასა და ცხოველთა ტკივილისა და ტანჯვისაგან დაცვას.
- შინაური ბინადარი ცხოველის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვები სტანდარტები, პატრონთა ვალდებულებები შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა.
- შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობები;
- შინაურ ბინადარ ცხოველთა რეგისტრაცია;

- შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრებში მოთავსების შესაძლებლობა და თავშესაფრებში საჭირო პირობების აუცილებლობა.
- მუნიციპალიტეტების კომპეტენცია შინაური ბინადარი ცხოველების კეთილდღეობისა და დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობა და დაცვა, უსახლკარო ცხოველების პოპულაციის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებები, ცხოველთა ჰუმანური მოპყრობის მოთხოვნები, ცხოველთა ტანჯვისა და სასტიკი მოპყრობისგან დაცვა ჰუმანური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მუნიციპალიტეტების ვალდებულებები

აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს ენიჭება მთელი რიგი უფლებამოსილებები და შესაბამისად პასუხისმგებლობები. კერძოდ:

- მუნიციპალიტეტები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვას, მათი ყოლის წესების დადგენას და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის ვალდებულების შესრულების, სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების შეფარდებას;

- შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია (სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე);

- მიკედლებული და უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების ანტირაბიული ვაქცინაცია;

- მიკედლებული და უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა კასტრაცია/სტერილიზაციის გზით;

- შინაური ბინადარი ცხოველების გაჩუქება, მიმკედლებლის მოძიება ან დაბრუნება პირვანდელი ბინადრობის არეალში;

- პატრონიანი შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების, მათ შორის, იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის ვალდებულების შესრულების, სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების შეფარდება;

- მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, კანონპროექტით გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ ანტირაბიული ვაქცინაციის ვალდებულების შესრულების კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების შეფარდება;

- შინაურ ბინადარ ცხოველთა საშენის ავტორიზაცია;

- საშენის კონტროლი (მათ, შორის, გასამრავლებელი შინაური ბინადარი ცხოველების ჯიშიანობასა და გამრავლებაზე ვარგისიანობის შესახებ ცნობის ქონის კონტროლი)
- შინაური ბინადარი ცხოველის ლეშის განკარგვა

ასევე,

- უზრუნველყოფენ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მეშვეობით, ადრეული ასაკიდან მოქალაქეთა მიერ შინაურ ბინადარ ცხოველებზე დაკვირვების, მათი ქცევის გაგებისა და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დანერგვას;
- აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას და მოუწოდებენ მას შინაურ ბინადარ ცხოველებზე ზრუნვისკენ;
- ორგანიზებას უწევენ აქტივობებს, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვა, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პატრონებთან დაბრუნება;
- უზრუნველყოფენ შინაურ ბინადარ ცხოველთა გასასეირნებელი ადგილების, სასაფლაოების და კრემატორიუმების მოწყობას და ზრუნავენ მათ გამოყენებაზე;

აღნიშნულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის მხრიდან გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები განხორციელება:

- განსაზღვრონ შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.
- უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება, უფლებამოსილი სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის.
- შეიმუშაოს შინაური ბინადარი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა, რეგისტრაციის, მიკროჩიპზე დასატანი ინფორმაციის, საკონტროლო რეგისტრაციისა და შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიან რეესტრში შეყვანის წესი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.
- შეიმუშაოს შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კანონით განსაზღვრულ პრინციპებსა და სტანდარტებთან.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს რიგ საკითხებს, რომელთა უზრუნველყოფა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებებში რჩება, კერძოდ:

- თავშესაფარში, საოჯახო ტიპის დროებით თავშესაფარში, სარეალიზაციო ობიექტში, სასტუმროში, საშენში, კინოლოგიურ/ფელინოლოგიური დაწესებულებებში შემდეგი საკითხების კონტროლი:

- კანონით დადგენილი სტანდარტების (მათ შორის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების) დაცვაზე
- დაურეგისტრირებელი/არაიდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველების მიღება/მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვაზე

- საბაჟო საზღვარზე შინაურ ბინადარ ცხოველთა გადაადგილებისას ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება.

2.7 მუნიციპალიტეტის ხარჯები და შემოსავლები

მუნიციპალიტეტებისთვის კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ გამოიწვევს ხარჯებს, რომელთა დაფინანსების წყარო იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზეც, ყველა პირი, რომელიც ეწევა კომერციულ მოშენებას შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლების მიზნით, გადაიხდიან ნებართვის საფასურს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. კომერციული მოშენების სანებართვო პირობებს და ნებართვის გაცემის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

3 სიტუაციის ანალიზი

მიუსაფარი ძაღლების პრობლემების ადამიანებთან დაკავშირებული მიზეზები მოიცავს (1) შინაური ცხოველების მიტოვებას და უგულებელყოფას, (2) უპასუხისმგებლო მოშენების პრაქტიკას, (3) უკონტროლო გამრავლებასა და (4) მიგრაციას.

1) მიუსაფარი ძაღლების გამრავლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შინაური ცხოველის უპასუხისმგებლო მფლობელობაა. სამწუხაროდ, შინაური ცხოველების ბევრი მფლობელი არ ასრულებს ამ პასუხისმგებლობას და ტოვებს შინაურ ცხოველებს ქუჩებში ან ყრიან პარკებში. ეს იწვევს მიუსაფარი ძაღლების რიცხვის ზრდას მოცემულ ტერიტორიაზე.
2) მიუსაფარი ძაღლების გამრავლების კიდევ ერთი მიზეზი არის რეგულაციების ნაკლებობა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ მოქმედებს კანონები და რეგულაციები. საქართველოში ასეთი რეგულაციების არარსებობის გამო შინაური ცხოველები მრავლდებიან სახლებში, ხოლო მესაკუთრეებს არ აქვს სურვილი ან საშუალება, იყოლიონ გამრავლებული ცხოველები სახლში.
3) უკვე ქუჩაში აღმოჩენილი ძაღლები მრავლდებიან უკონტროლოდ. სტერილიზაცია/კასტრაციის პროგრამების სიმწირე და არარსებობა იწვევს ძაღლების პოპულაციის ზრდას, შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი ძაღლების რაოდენობა.
4) ძაღლები მიგრირებენ, ისინი ყოველთვის ერთ ადგილზე არ ჩერდებიან, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების გამრავლებას ხელს უწყობს მათი მიგრაციაც.

ძაღლების დიდი ნაწილი მშიერი და დაავადებულია, ამასთან, ცენტრალურ გზებზე მყოფი ბევრი ძაღლი ხდება საგზაო შეჯახების მსხვერპლი. არის შემთხვევები, როცა მოქალაქეები აგრესიას გამოხატავენ ძაღლების მიმართ, რაც გამოიხატება განზრახ შეჯახებაში, ცემაში და ყოფილა იარაღით მოკვლის შემთხვევები.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ხშირად ჩივის, რომ შინაურ ცხოველსა და ფრინველს მშიერი ძაღლები ჭამენ. მოსახლეობას ეშინია ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილების, განსაკუთრებით ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მოხუცებს. მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმდება საღამოსა და ღამის საათებში. ძაღლები გადაადგილდებიან ხროვებად და თავს იყრიან ისეთ ადგილებში, როგორიცაა საბავშვო ბაღები, სუპერმარკეტი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, საზოგადოებრივი კვების ობიექტებთან, სკვერებში, სადაც მათთვის უფრო მარტივია საკვების მოპოვება. არის მოქალაქეების დაკბენის შემთხვევები.

2022 წელს გურიის რეგიონის ფარგლებში მოქმედ სამ ანტირაბიულ კაბინეტში დაფიქსირდა 1772 მიმართვა (მათ შორის 1196 მიმართვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში). მიმართვებიდან 313 შემთხვევა იყო ქუჩის ძაღლთან, ხოლო 106 შემთხვევა ქუჩის კატასთან კონტაქტისა.

მიუსაფარი ძაღლები ქმნიან ადამიანებისა და სხვა შინაური ძაღლებისთვის სხვადასხვა დაავადებების გადადების რისკს, როგორიცაა ზოონოზური დაავადებები, პარაზიტები და ყველაზე საშიში - ცოფი. ცოფით დაავადებული ძაღლის მიერ ადამიანების დაკბენის ფაქტები დაფიქსირდა 2023 წლის მაისში ხონის5, ხოლო აპრილში მარტვილის მუნიციპალიტეტში, სადაც ცოფიანმა მიუსაფარმა ძაღლმა 22 ადამიანი დაკბინა. ამის გამო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვეტერინარული კარანტინი გამოცხადდა.6 მანამდე, 2023 წლის მარტში ცოფის შემთხვევები დაფიქსირდა რაჭაში. 7

მუნიციპალიტეტი არ აღრიცხავს სტატისტიკურ მონაცემებს არც პატრონიანი და არც მიუსაფარი ცხოველების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია ჯარიმა შინაური ცხოველის მიტოვებაზე, მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება ამის აღსრულება. უკვე ქუჩაში აღმოჩენილ მიუსაფარი ძაღლებზე მუნიციპალიტეტს გააჩნია მხოლოდ დროებით თავშესაფარში გადაყვანის სერვისი, რომელსაც ახორციელებს ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის მიუსაფარი ცხოველთა იზოლაციის განყოფილება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა რომელიც უნდა მოხმარდეს 350 მიუსაფარი ძაღლის დაჭერას, მუნიციპალური მართვის ცენტრში გადაყვანას შემდგომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავებას, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არეალში დაბრუნებას.

[5] https://formulanews.ge/News/91047
[6] https://www.radiotavisupleba.ge/a/32384174.html
[7] https://shorturl.at/rDPQX

რამდენადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფი მიუსაფარი ძაღლების რაოდენობა 300-ს მნიშვნელოვნად აღემატება, მუნიციპალიტეტის ეს ქმედება პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არ არის. საჭიროა მუნიციპალიტეტს გააჩნდეს პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული სტრატეგია, რომელშიც ასახული იქნება მიუსაფარი ძაღლების პოპულაციის მართვის ყველა განზომილება. სიტუაციის აღწერაში ნახსენები პრობლემის გამომწვევი ოთხი მიზეზიდან ორზე (რეგულაციების არ არსებობა, მიუსაფარი ძაღლების უკონტროლო გამრავლება) მუნიციპალიტეტია პასუხისმგებელი და სათანადო სტრატეგიით მოქმედების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს შეუძლია ამ ორი მიზეზის აღმოფხვრა, ასევე დანარჩენი ორი მიზეზიდან ერთის (შინაური ცხოველების უპასუხისმგებლო მფლობელობა) მნიშვნელოვნად შემცირება სათანადო ეფექტური კონტროლის დაწესებით.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ თალაკვაძის წინასაარჩევნო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დაპირებებს მიუსაფარი ძაღლების პრობლემის მოგვარების კუთხით. მისი დაპირებები მოიცავდა: თანამედროვე თავშესაფრის მოწყობას, ცხელი ხაზის ამოქმედებას, ძაღლების მიტოვებაზე რეგულაციების დაწესებას და მიუსაფარი ძაღლების შინ აყვანის წახალისებას.

4 მიზნები და ამოცანები

4.1 მიზანი

სტრატეგიის მიზანია შინაური ბინადარი ცხოველების და ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი დაცვა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

სტრატეგიის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეები ცხოვრობდნენ უსაფრთხო გარემოში მათთვის საყვარელ კომპანიონ ცხოველებთან ერთად, მიუსაფარი ძაღლები, გარდა ერთეული საგამონაკლისო შემთხვევებისა, არ გვხვდებოდნენ მუნიციპალიტეტის ქუჩებში.

4.2 სტრატეგიის ამოცანები კომპონენტები

1. შინაური და მიუსაფარი ძაღლების რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის ხელშეწყობა
2. შინაური და მიუსაფარი ძაღლების გამრავლების უნარის შეწყვეტის ხელშეწყობა
3. პოპულაციის მართვის ცენტრის მშენებლობა და ფუნქციონირება
4. მობილური კლინიკის მოწყობა და ფუნქციონირება
5. მიუსაფარი ძაღლების გაჩუქების წახალისება
6. ევთანაზიის რეგულირება

5 მუნიციპალური რეგულაციების შემოღება და ადმინისტრირება

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაადგენს შინაური ცხოველების ყოლის და მოვლა-პატრონობის ახალ წესს, რომელიც მოიცავს გამკაცრებულ რეგულაციებს არსებულ წესთან შედარებით. ახალი წესების მიხედვით შინაური ცხოველის მეპატრონისთვის სავალდებულოა:

5.1. შინაური ცხოველის რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილ ორგანოში;

5.2. შინაური ცხოველის ყოლა მხოლოდ მაიდენტიფიცირებელი ნიშნით (საჭდე, ყელსაბამი, ჩიპი და სხვა). პატრონიანი ძაღლის საჭდეს აქვს მიუსაფარი ძაღლის საჭდესგან განსხვავებული ფერი;

5.3. ნარევი (მეტისი) ჯიშის შინაური ცხოველის სტერილიზაცია/კასტრაცია;

5.4. შინაური ცხოველის კვება, ჯანმრთელობაზე სათანადო ზრუნვა და მოვლა-პატრონობა;

5.5. ცხოველის მიერ საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში მისი დასუფთავება;

შინაური ცხოველის მეპატრონისთვის აკრძალულია:

5.6. მოკლე საბლის გარეშე ან ალიკაპის და საბლის გარეშე გაასეირნოს ძაღლი (გარდა დეკორატიული ჯიშის ძაღლისა) საზოგადოებრივ ადგილებში;

5.7. შეიყვანოს შინაური ბინადარი ცხოველი სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, საბავშვო და სპორტულ მოედნებზე, ასევე, იმ კვების ობიექტებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი;

5.8. იმგზავროს შინაურ ბინადარ ცხოველთან (ძაღლი, კატა) ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტით ერთდროულად მოკლე საბლის და ალიკაპის ან სპეციალური გადამყვანის (კონტეინერის) გარეშე;

5.9. ცხოველისათვის საფრთხის შემცველი გზით მოახდინოს შინაურ ბინადარ ცხოველთა ტრანსპორტირება;

5.10. ცხოველის უპატრონოდ ან მეთვალყურეობის გარეშე დატოვება, მისი მიტოვება და გადაგდება;

5.11. შინაური ცხოველების გამრავლება შინაურ პირობებში;

5.12. ცხოველთა ბრძოლების გამართვა;

5.13. მეპატრონეს ეკრძალება ცხოველის ყოლა, თუ ის ვერ უზრუნველყობს შინაური ბინადარი ცხოველისთვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს - სათანადო კვება-დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება.

- მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს ადგილები, სადაც არ დაიშვება ძაღლის ყოფნა და ცხოველის გასეირნებასთან დაკავშირებით დაადგინოს გარკვეული ტიპის შეზღუდვები დღე-ღამის კონკრეტული მონაკვეთის მიხედვით.
- მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგენილებაშივე უნდა განსაზღვროს სანქცირების მექანიზმი. დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი შესაძლოა დაევალოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ა(ა)იპ-ს ან მუნიციპალურ ინსპექციას.

<u>სავარაუდო ვადა</u>: 3 თვე

- მუნიციპალიტეტის მერია აფუძნებს არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიული პირს (ააიპ), რომლის კომპეტენციას განეკუთვნება შინაურ ბინადარ ცხოველთა მონიტორინგი და მათი მოვლა-პატრონობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება, პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, აღრიცხვა, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნის ხელშეწყობა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. აღნიშნული იურიდიული პირის ბაზაზე ფუნქციონირებს პოპულაციის მართვის ცენტრი.

5.1 ადმინისტრირება პოპულაციის მართვის ცენტრის ექსპლუატაციაში შესვლამდე

პოპულაციის მართვის ცენტრის მშენებლობამდე და ექსპლუატაციაში შესვლამდე მუნიციპალიტეტი ახდენს:

- სატენდერო დავალების განახლებას სერვისების კერძო ოპერატორებისგან შესყიდვის შესახებ;
- მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის სერვისის შესყიდვას კერძო ოპერატორებისგან ტენდერის საფუძველზე;
- შეიმუშავებს შინაური ბინადარი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმას, რეგისტრაციისა და ცხოველთა ერთიან რეესტრში შეყვანის წესს;
- პოპულაციის მართვის ცენტრის თანამშრომლების შერჩევას და გადამზადებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ოზურგეთში მოქმედებს შ.პ.ს. „ვექტრა“, რომელიც აწოდებს ამ მომსახურებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს ტენდერის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დაცვის კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გამოყენება შესაძლოა ასევე განისაზღვროს ა(ა)იპ მუნიციპალური ინსპექციის ფუნქციად.

სტრატეგიის შესრულებაზე მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირს, მუნიციპალურ ინსპექციასა და მუნიციპალიტეტის მერიას ზედამხედველობას თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

6 სამოქმედო გეგმა

6.1 რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის ცენტრი აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფი ძაღლების რეგისტრაციას. ხორციელდება როგორც პატრონიანი, ასევე მიუსაფარი ძაღლების რეგისტრაცია.

პატრონიანი ძაღლების რეგისტრაცია სავალდებულო ხდება მე-5 თავში აღწერილი საქმიანობის საფუძველზე. მოქალაქეებს ეძლევათ დადგენილების ამოქმედებიდან გარკვეული დრო, ეს შესაძლოა იყოს 6-დან 8-თვემდე, რეგისტრაცია უფასოა. რეგისტრაციისთვის მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილი პირი რეგისტრირებულ ძაღლს ანიჭებს იდენტიფიკატორს. რეგისტრირების უფასო მუნიციპალური შეთავაზება გულისხმობს მიუსაფარი ცხოველებისგან განსხვავებული ფერის მქონდე საჭდის დამაგრებას, რომლის ტარებაც სავალდებულოა. რეგისტრირებული ძაღლი აღირიცხება ბაზაში.

მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს შინაური ბინადარი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმას, რეგისტრაციის და ცხოველთა ერთიან რეესტრში შეყვანის წესს, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

ძაღლზე ჩატარებული ყველა შემდგომი პროცედურა (გამრავლების უნარის შეწყვეტა, მშობიარობა. ვაქცინაცია, ევთანაზია და სხვ.) ასევე აისახება ბაზაში. ბაზაზე წვდომა აქვს მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილ ორგანოს, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერინარულ კლინიკებს, ანტირაბიულ კაბინეტს, სურსათის ეროვნულ სააგენტოს, მუნიციპალურ ინსპექციას.

<u>სავარაუდო ვადა: 8-10 თვე</u>

მუნიციპალიტეტი შესაბამისი სამსახურების მეშვეობით მოახდენს მიუსაფარი ძაღლების რეგისტრაციას მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილ შესაბამის სამსახურს აჰყავს ყველა ძაღლი ქუჩიდან, გადაჰყავს პოპულაციის მართვის ცენტრში ახდენს მის იდენტიფიკაციას (ჯიში, დაავადებები, მახასიათებლები და სხვა), ფოტოფიქსაციას, ანიჭებს უნიკალურ კოდს და უკეთებს საჭდეს. რეგისტრაციის მონაცემები შეჰყავს ბაზაში. ამის შემდეგ ძაღლი ბრუნდება აყვანის ადგილას, გარდა გაჩუქების შემთხვევებისა. პარალელურად აყვანილ და რეგისტრირებულ ძაღლებს უტარდებათ 5.3 საქმიანობაში აღწერილი პროცედურები (გამრავლების უნარის შეწყვეტა, ვაქცინაცია და ა.შ)

<u>სავარაუდო ვადა: 15-18 თვე</u>

6.2 გამრავლების უნარის შეწყვეტა

მიუსაფარი ძაღლების სტერილიზაცია და კასტრაცია ხორციელდება 5.1 საქმიანობის პარალელურად. ასეთ შემთხვევაში 18 თვის თავზე გამრავლების უნარი შეზღუდული ექნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ყველა მიუსაფარი ძაღლს. მიუსაფარი ძაღლების კასტრაცია/სტერილიზაციას აფინანსებს მუნიციპალიტეტი. პროცესის წახალისებისთვის მუნიციპალიტეტს შეუძლია პირველი 6 თვის განმავლობაში თავად დააფინანსოს პატრონიანი ცხოველების კასტრაცია/სტერილიზაცია.

პატრონიანი ძაღლების კასტრაცია/სტერილიზაცია სავალდებულოა ნარევი (მეტისი) ჯიშებისთვის 5.1 საქმიანობით გათვალისწინებული დადგენილების მიხედვით. სავალდებულოა დადგენილების ამოქმედების შემდეგ დაბადებული პატრონიანი ლეკვების კასტრაცია/სტერილიზაცია 8 თვის ასაკამდე.

პატრონიანი ძაღლების კასტრაცია/სტერილიზაცია ფასიანია. ძაღლის პატრონს შეუძლია ამ პროცედურისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირს, ან კერძო იურიდიულ პირს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ძაღლის პატრონი და კერძო იურიდიული პირი ვალდებული არიან შესაბამისი ინფორმაცია მიწოდონ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირს ძაღლის შესახებ ბაზაში ინფორმაციის განახლებისთვის.

როგორც მიუსაფარი, ასევე პატრონიანი ძაღლების შემთხვევაში გამრავლების უნარის შეწყვეტის ოპერაციის გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ძაღლს უკეთდება ვაქცინაცია ცოფზე. სტერილიზაციის და კასტრაციის ოპერაციები უნდა წარიმართოს WOAH (World Organization for Animal Health), ICAM (International Companion Animal Management Coalition) და IFAW (International Fund for Animal Welfare)-ის სტანდარტების და სახელმძღვანელო წესების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური (უფლებამოსილი პირი ან ინსპექცია) წინასწარ დადგენილი პერიოდულობით ამოწმებს ბაზაში რეგისტრირებულ პატრონიან ძაღლებზე ინფორმაციას და კასტრაცია/სტერილიზაციის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იყენებს შესაბამის ჯარიმებს.

<u>სავარაუდო ვადა: 15-18 თვე</u>

6.3 პოპულაციის მართვის ცენტრი

მუნიციპალიტეტს გააჩნია პოპულაციის მართვის ცენტრი სადაც ტარდება 5.1. 5.2. და 5.3 საქმიანობებში აღწერილი პროცედურები. პოპულაციის მართვის ცენტრის მშენებლობამდე და ექსპლუატაციაში შესვლამდე მუნიციპალიტეტი სარგებლობს აღნიშნული სერვისის შესყიდვით კერძო ოპერატორისგან. პოპულაციის მართვის ცენტრი უფლებამოსილია სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში ანაზღაურებადი მომსახურება გაუწიოს სხვა მუნიციპალიტეტებს და კერძო პირებს, მაგალითად დაავადებული ძაღლის მკურნალობის მიზნით. ამასთან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები მეზობელ მუნიციპალიტეტებთან (ლანჩხუთი, ჩოხატაური, ქობულეთი და ფოთი) რათა ამ

მუნიციპალიტეტებმა გამოყონ თანადაფინანსება პოპულაციის მართვის ცენტრისთვის. ასეთ შემთხვევაში პოპულაციის მართვის ცენტრი არსებული თანადაფინანსების ფარგლებში მოემსახურება აღნიშნულ მუნიციპალიტეტებსაც. ინტერმუნიციპალური თანამშრომლობისთვის პოპულაციის მართვის ცენტრს გააჩნია მობილური კლინიკა (ქვემოთ).

პოპულაციის მართვის ცენტრის მშენებლობისთვის მუნიციპალიტეტი გამოყოფს ტერიტორიას. დაახლოებით 0,5-დან 1 ჰა-მდე. პოპულაციის მართვის ცენტრი უნდა განთავსდეს ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ. პოპულაციის მართვის ცენტრს შეუძლია ერთდროულად 150 ძაღლის მიღება.

პოპულაციის მართვის ცენტრი განთავსდება შემოღობილ ტერიტორიაზე და აღიჭურვება: ადმინისტრაციული და კარანტინის შენობებით, ვეტერინარული კლინიკით, ლაბორატორიით, ვოლიერებითა და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. პოპულაციის მართვის ცენტრს გააჩნია უფასო ცხელი ხაზი.

<u>სავარაუდო ვადა: ორი წელი</u>

<u>საჭირო ფინანსური რესურსი: 2 720 900 ლარი</u>

6.4 მობილური კლინიკა

პოპულაციის მართვის ცენტრს გააჩნია მობილური კლინიკა რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ადგილზე გასვლით ძაღლისთვის გამრავლების უნარის შეწყვეტის ოპერაციის ჩატარება და ვაქცინაცია. მობილური კლინიკა აღჭურვილია ძაღლების გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებით, აგრესიული ძაღლის სამართავი ინვენტარით (მათ შორის ჭავლური თოფი) და სხვა საჭირო სამედიცინო ინვენტარით.

მობილური კლინიკა გამოიყენება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებს გარეთ, სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (ასეთი უფლებამოსილების და დაფინანსების არსებობის შემთხვევაში) ოპერაციების ჩასატარებლად, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პოპულაციის მართვის ცენტრიდან დაშორებულ ტერიტორიებზე საჭიროების შემთხვევაში ოპერაციების ჩასატარებლად. მაგალითად ასეთი შესაძლოა იყოს კურ. გომისმთა ზაფხული სეზონის დროს და სხვ.

<u>საჭირო ფინანსური რესურსი: 200 000 ლარი</u>

6.5 გაჩუქება

ააიპ პოპულაციის მართვის ცენტრს გააჩნია სოციალური ქსელები (facebook, instagram, tik-tok), რომლებსაც იყენებს მიუსაფარი ძაღლების გაჩუქების წახალისებისთვის. ძაღლების

მჩუქებლებისთვის გათვალისწინებულია სიმბოლური და წამახალისებელი საჩუქრები (ძაღლის სახლი, საკვების მარაგი, საბელი და სხვა)

ააიპ პოპულაციის მართვის ცენტრი წელიწადში ორჯერ მაინც მართავს მიუსაფარი ძაღლების ფიზიკური პირების მიერ აყვანის წამახალისებელ ღონისძიებას გამოფენის, საქველმოქმედო საღამოს ან სხვა სახით. ხელს უწყობს მიუსაფარი ძაღლების აყვანას რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების და ბეჭდური გამოცემების მეშვეობით.

6.6 ევთანაზია

მიუსაფარი ძაღლების ევთანაზია, როგორც პოპულაციის მართვის ცენტრში, ასევე კერძო ოპერატორის მიერ, დასაშვებია მხოლოდ კანონით და მუნიციპალიტეტის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში. სტრატეგიით შემოთავაზებულია შემდეგი პირობები ევთანაზიისთვის:

- ცხოველის არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველებთან ან/და ადამიანთან მისი თანაარსებობის საშუალებას,
- ცხოველის დამბლა ან სხვა განუკურნებელი დაავადება;
- ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში დაავადება;
- ცხოველის ცოფით დაინფიცირების შემთხვევა;
- ცხოველის III – IV სტადიის ონკოლოგიური დაავადებები;
- ცხოველის მძიმედ დაჭრა. ძლიერი ტრავმები ან/და დაზიანებები, რომლებიც სიცოცხლესთან შეუთავსებელია;
- ცხოველის შეუქცევადი დაუძლურება;
- სიცოცხლესთან შეუთავსებელი თანდაყოლილი ნაკლი.

ევთანაზია დასაშვებია მხოლოდ ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტს მოწყობილი აქვს კრემატორიუმი და სასაფლაო ძაღლებისთვის.

7 ბიუჯეტი

კაპიტალური დანახარჯები (ერთჯერადი)	*3 460 900 ₾*
ძაღლების ერთიანი სარეგისტრაციო ბაზის შექმნა	5 000
პოპულაციის მართვის ცენტრის პროექტირება	45 000
პოპულაციის მართვის ცენტრის მშენებლობა	2 742 900
სატრანსპორტო საშუალების შეძენა	360 000

აღჭურვილობა	108 000
მობილური კლინიკა	200 000
ყოველწლიური ოპერაციული და პროგრამული ხარჯები	***964 500 ₾***
მიუსაფარი ძაღლების ფიზიკური პირების მიერ აყვანის წამახალისებელი ღონისძიებები	20 000
საწვავის და საპოხი მასალის ხარჯი	34 500
ოპერაციების, წამლებისა და ვაქცინაციების ხარჯი	63 500
ცხოველთა საკვების ხარჯი	59 800
სახელფასო დანახარჯები	587 000
საოპერაციო ხარჯები	200 000

სტრატეგიის კაპიტალური ბიუჯეტი შეადგენს 3 460 900 ლარს, რაც მოიცავს პოპულაციის მართვის ცენტრის პროექტირებას, მშენებლობას, აღჭურვას, სატრანსპორტო საშუალებების შეძენას და მობილური კლინიკის მოწყობას.

ყოველწლიური ოპერაციული და პროგრამული ხარჯები შეადგენს 964 500 ლარს. ბიუჯეტის აღნიშნული ნაწილი დაანგარიშებულია გურიის რეგიონისთვის, შესაბამისად, შესაძლებელი იქნება აღნიშნული დანახარჯების განაწილება რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტს შორის. მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფარვის შემთხვევაში საოპერაციო ხარჯები შემცირდება.

საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება შესაძლებელია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან.